

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

რიგგარეშე სხდომის

ოქთი № 4

ქ. ახმეტა

31 იანვარი, 2017 წელი

თავმჯდომარეობდა:

გელა ჯუგაშვილი-ახმეტის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს თავმჯდომარე

სხდომას ეს წრებოდნენ:

თ. წითელაური, ა. შათირიშვილი, ნ. აბალოიძე,

ახმეტის მუნიციპალიტეტის

თ. ყეინიშვილი, გ. ქიტესაშვილი, გ. მაისურაძე,

საკრებულოს წევრები:

რ. ბალაკაშვილი, მ. ალხანაშვილი, დ. მურთაზაშვილი

ა. მექვევრიშვილი, ზ. ქინქლაძე, ა. მაილაშვილი,

თ. ბოდაველი, გ. უმილაური, ა. ნახუცრიშვილი,

ბ. ჭიჭიკლიშვილი, ნ. ღუბიანური, ლ. გოგოთიძე,

ც. გრძელივანიშვილი.

სხდომა გაიხსნა 14th საათზე.

საკრებულოს თავმჯდომარემ გელა ჯუგაშვილმა გახსნა სხდომა და დამსწრე პირებს გააცნო
დღის წესრიგი.

დღის წესრიგი:

1. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს
რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი
ადგილობრივი თვითმმართველობის პროექტების თაობაზე, ახმეტის
მუნიციპალიტეტის გამგებლის მიერ წარმოდგენილი საპროექტო წინადადებების
მოწონების შესახებ;

/მომხსენებელი - დავით მურთაზაშვილი/



მოისმინეს: საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის პროექტების თაობაზე, ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგებლის მიერ წარმოდგენილი საპროექტო წინადადებების მოწოდების შესახებ;

/მომხსენებელი -დავით მურთაზაშვილი/

მომხსენებელმა დამსწრე წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი:

მოწონებულ იქნეს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 2017 წელს დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის პროექტების თაობაზე ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგებლის მიერ წარმოდგენილი საპროექტო წინადაღებები თანდართული სახით.

დაევალოს ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგებელს განახორციელოს საკონკრეტული წინადადებების ინიცირება საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროში.

მომხსენებელმა აქვე აღნიშნა, რომ არსებობს მთელი რიგი პრობლემები: სოფ. ქვ. ალექსის სამუზანის სასმელ წყლებში ჩაედინება ფევეალური მასები, მართალია ხდება ამ წყლების უბანზე სასმელ წყლებში ჩაედინება ფევეალური მასები, მართალია ხდება ამ წყლების გაფილტვრა, მაგრამ მისი გასუფთავება ბაქტერიული თვალსაზრისით შეუძლებელია.

აზრი გამოთქვეს: ციური გრძელივანიშვილმა აღნიშნა: ზოლო რვა წელია მატანში წყალი არ დაწყვეტილა. ქსელის რეაბილიტაციის დაწყების შემდეგ მოსახლეობას წყლის მიწოდება შეუწყდა. რატომ არ ხდება კონტროლი და რა არის აღნიშნული ფაქტის მიზეზი.

რაზეც ბექა ბაიდაურმა უპასუხა: მოსახლეობის მოთხოვნა იყო ზაფხულში არ შეწყვეტილიყო წყალი, რამაც გამოიწვია დაწყებული სამუშაოების გახანგრძლივება.

ალექსი მაილაშვილმა აღნიშნა: სოფელ ოქიოში სადაც წყლის მოსაგვარებლად უნდა ჩაიდგას დრენაჟი, რომელიც უკვე იყო გაკეთებული რომელმაც არ გაამართლა. ვფიქრობ, რომ ამ პროექტით ვერ მოგვარდება წყლის პრობლემის გადაჭრა.

რაზეც გელა ჯუგაშვილმა უპასუხა: შესწავლილი აქვთ შესაბამის სპეციალისტებს და დადებულია დასკვნა სასმელი წყლის პრობლემის მოგვარების შესახებ.

არჩილ შათიროვილმა გააკეთა განცხადება ბალებთან დაკავშირებით №2 საბავშვო ბალზე გათვალისწინებულია 350 ათასი ლარი, ხოლო სხვა დანარჩენ ბალებში არც წყალია



შეყვანილი და არც გაზი მიეწოდებათ. ვფიქრობ ეს თანხა თანაბრად გადაფანაწილოთ რათა მოხდეს ბაღების თანაბარი ფუნქციონირება.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხის მიღება:

მომხრე - 15

წინააღმდეგი - 4

თავი შეიკავა - 1

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო განკარგულება №2 საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის პროექტების თაობაზე, ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგებლის მიერ წარმოდგენილი საპროექტო წინადადებების მოწონების შესახებ;

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ ჰქონდა, დამსწრე საკრებულოს წევრებს: ხომ არ სურთ რაიმე წინადადების დაყენება.

სხდომაზე დამსწრე საკრებულოს წევრებს წინადადების დაყენების სურვილი არ გამოუთქვამთ.

საკრებულოს სხდომა დაიხურა 14⁴⁵ საათზე.

საკრებულოს თავმჯდომარე:



გელა ჯუგაშვილი